

ფიგურულ ფრაქციას

სიზომის
ინტერპრეტაცია

ზიგმუნდ ფროიდი
სიზმრის ინტერპრეტაცია

Sigmund Freud
DIE TRAUMDEUTUNG

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ



წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-853-1

www.diogene.ge

სარჩევი

I სამეცნიერო ლიტერატურა სიზმრის პრობლემის შესახებ.....	7
(a) სიზმრის დამოკიდებულება სიფხიზლესთან.....	11
(b) სიზმრის მასალა – მესხიერება სიზმარში.....	14
(c) სიზმრის გამლიზიანებლები და მისი წყაროები.....	24
(d) რატომ ავიწყდება ადამიანს სიზმარი, როცა იღვიძებს.....	45
(e) სიზმრის ფსიქოლოგიური თავისებურებანი.....	50
(f) ეთიკური გრძნობები სიზმარში.....	67
(g) სიზმრის თეორიები და სიზმრის ფუნქცია.....	76
(h) სიზმრისა და სულიერი ავადმყოფობის კავშირი.....	91
II სიზმრის ინტერპრეტაციის მეთოდი.....	96
III სიზმარი სურვილების ასრულება.....	120
IV სიზმრის დამახინჯება.....	130
V სიზმრის მასალა და წყაროები.....	155
(a) რეცენტული და ინდიფერენტული სიზმარი.....	156
(b) ინფანტილურობა, როგორც სიზმრის წყარო.....	177
(c) სიზმრის სომატური წყაროები.....	206
(d) ტიპური სიზმრები.....	226
VI სიზმრის მუშაობა.....	259
(a) კონდენსაციის მუშაობა.....	261
(b) გადანაცვლების მუშაობა.....	284
(c) გამოსახვის სიზმრისეული ხერხები.....	288
(d) გამომსახველობითობის გათვალისწინება.....	309

(e) მაგალითები – ანგარიში და მეტყველება სიზმარში.....	318
(f) აბსურდული სიზმრები – ინტელექტუალური მუშაობა სიზმარში.....	329
(g) აფექტები სიზმარში.....	360
(h) მეორადი გადამუშავება.....	383
VII სიზმრის პროცესების ფსიქოლოგიისთვის.....	397
(a) სიზმრების დავინწყება.....	400
(b) რეგრესია.....	416
(c) სურვილის ასრულება.....	432
(d) სიზმარი, რომელიც გვადვილებს. სიზმრის ფუნქცია. შიშის მომგვრელი სიზმარი.....	450
(e) პირველადი და მეორადი პროცესები – განდევნა.....	463
(f) არაცნობიერი და ცნობიერი. რეალობა.....	483
დასახელებული ლიტერატურა.....	494

სამეცნიერო ლიტერატურა სიზმრის პრობლემის შესახებ

ამ წიგნის მომდევნო თავებში იმ ფსიქოლოგიური მეთოდის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებებს წარმოგიდგენთ, რომელიც სიზმრის განმარტების შესაძლებლობას იძლევა; ვეცდებით, ავხსნა, რომ ამ მეთოდის გამოყენება ნებისმიერ სიზმარს გააზრებულ ფსიქიკურ სტრუქტურად წარმოაჩენს, რომელიც ფხიზელი ცნობიერების მქონე ადამიანის ფსიქიკის შესაბამის ნაწილს უნდა მივაკუთვნოთ. შემდგომ ვეცდებით, ნათელი მოვფინო იმ პროცესებს, რომლებიც სიზმრის განსაკუთრებულობისა და უცხოობის განმსაზღვრელია და მათზე დაყრდნობით გამოვიტანო დასკვნები ფსიქიკური ძალების ბუნების შესახებ, რომელთა ურთიერთქმედებითა თუ ურთიერთდაპირისპირებითაც იქმნება სიზმრები. ამის შემდეგ კი მსჯელობას დავასრულებ, რადგან მერე უკვე სიზმრის პრობლემა ბევრად უფრო მრავალმხრივ პრობლემებს უკავშირდება, რომელთა გადაჭრაც სულ სხვა მასალას ითხოვს.

ჩემს დაკვირვებებს უწინდელი ავტორების მოსაზრებებსა და მეცნიერებაში სიზმრის პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ მიმოხილვას წაუფიქვარებ, რადგან მომავალში

მათთან მიზრუნების ნაკლები მიზეზი მექნება. სიზმრის მეცნიერული გაგება, ათასწლიანი მცდელობის მიუხედავად, მაინც არასრულია. დაკვირვებები იმდენად ზოგადია, რომ ცალკეული ავტორების გამოყოფა არაფერს მოგვცემს. მათ ნაწერებში, რომლის ნუსხასაც ჩემს ნაშრომს დაფურთავ, ბევრ საგულისხმო შენიშვნას და მრავალმხრივ საინტერესო მასალას აღმოაჩენთ, მაგრამ თავად სიზმრის არსისა და მისი განმარტების შესახებ თითქმის ვერაფერს ან სრულებით ვერაფერს ნახავთ. ცხადია, ამ მოსაზრებებმა უბრალო მკითხველის ცოდნასაც ბევრი ვერაფერი შემატა.

პირველი ნაშრომი, რომელშიც სიზმარი ფსიქოლოგიის ობიექტადაა განხილული, არისტოტელეს ეკუთვნის (სიზმრებისა და სიზმრის განმარტების შესახებ). არისტოტელე განმარტავს, რომ სიზმარს დემონური ბუნება აქვს და არა ღვთაებრივი და თუ მის სწორად ინტერპრეტაციას შევძლებთ, ის ღრმა აზრს გაგვიმხელს. ის იცნობს სიზმრის თვისებათა ცალკეულ თავისებურებებს და, მაგალითად, მიაჩნია, რომ სიზმარი პატარა გამლიზიანებლებს რაღაც დიდად გარდაქმნის („ხედავ, რომ ცეცხლში მიაბიჯებ და იწვი, სინამდვილეში კი სხეულის რომელიღაც ნაწილი უმნიშვნელოდ გიხურდება“); ამაზე დაყრდნობით მას გამოაქვს დასკვნა, რომ სიზმარი ექიმს ადამიანის სხეულში დაწყებულ იმ ცვლილებებს უმხელს, რომლებსაც ის სიფხიზლეში ვერ ამჩნევს.

არისტოტელემდელი ავტორები, როგორც ცნობილია, სიზმარს მნახველის პროდუქტად კი არ მიიჩნევდნენ, არამედ ღვთაებრივ შთაგონებად; სიზმრის ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასება ძველ ავტორებთან სრულიად აშკარაა. ისინი ნამდვილ და ღირებულ სიზმრებს, რომლებიც სიზმრის მნახველს გაფრთხილების ან მომავლის წინასწარმეტყველების ნიშნად ევლინებოდა, იმ პატივმოყვარე, ილუზიური და მდაბალი სიზმრებისგან განასხვავებდნენ, რომლებსაც ადამიანი ცდომილებაში შეჰყავდა ან სულაც მის დაღუპვას ესწრაფოდა. სიზმრის მეცნიერებამდელი გაგება სრულად ეთანხმებოდა ძველი ავტორების მსოფლმხედველობას; ისინი გარე სამყაროში იმის პროეცირებას ახდენდნენ, რასაც რეალობა მხო-

ლოდ ფსიქიკურ ცხოვრებაში გააჩნია. ეს რეალობა ანგარიშს იმ უმთავრეს შთაბეჭდილებას უწევდა, რომელსაც გამოლვიძების შემდეგ ფიზიკური ცნობიერება ისე ინახავს, როგორც სიზმარზე მოგონებებს, რადგან ამ მოგონებებში სიზმარი რაღაც უცხო და ამასთან, სულ სხვა სამყაროს პროდუქციაა და ფსიქიკის ჩვეულებრივ შინაარსებს უპირისპირდება. მცდარი იქნებოდა იმის წარმოდგენა, თითქოს სიზმრის ზებუნებრივი წარმოშობის შესახებ თეორიას ჩვენს ეპოქაში მიმდევრები აკლდეს; იმ მისტიკოს მწერლებს თუ არ ჩავთვლით, ზებუნებრივის უწინდელი დიდი სფეროს წარჩენების შევსებას რომ ცდილობენ, სანამ მას საბუნებისმეტყველო კვლევები დაეპატრონება, მიმდევართა შორის გონებაგამჭრიახი ადამიანებიც გვხვდებიან, ვისთვისაც ავანტიურისტული იდეები უცხოა და ზებუნებრივი სულიერი ძალების რელიგიურ რწმენას სიზმრის აუხსნელი ბუნებით ამყარებენ (ჰაფნერი, 1887). ზოგიერთი ფილოსოფიური სკოლის, მაგალითად შელინგიანელების, მიერ სიზმრის შეფასება მისი ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ ძველი ეპოქის რწმენის აშკარა გამოძახილია. მსჯელობა სიზმრის წინასწარმეტყველური ბუნების შესახებ დღესაც გრძელდება, რადგან როგორც უნდა უარყოფდეს სიზმრის წინასწარმეტყველურ ბუნებას ის, ვინც მეცნიერული მსოფლმხედველობის გულშემატკივარია, სიზმრის ფსიქოლოგიური განმარტების მცდელობა დაგროვილი მასალის ასათვისებლად ძალზე მწირია.

სიზმრის პრობლემის მეცნიერული შესწავლის შესახებ ისტორიის დანერა ძნელია, რადგან დაგროვილ ცოდნაში, რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს მისი ცალკეული ნაწილები, გარკვეული მიმართულებით პროგრესი არ შეიმჩნევა. არ მიგვიღია დასაბუთებული შედეგები, რომლებსაც მკვლევრები დაეყრდნობოდნენ. ყველა ახალი ავტორი პრობლემის შესწავლას თავიდან იწყებს. ცალკეული ავტორები და სიზმრის პრობლემის შესახებ მათი მოსაზრებები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით რომ განმეხილა, მაშინ უარი უნდა მეთქვა სიზმრის პრობლემის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობის საერთო სურათის წარმოჩენაზე; ამიტომ ვამჯობინებ,

ჩემი დაკვირვებები არა ცალკეულ ავტორებს, არამედ კონკრეტულ თემებს დავუკავშირო და ცალკეულ პრობლემებზე მსჯელობისას იმ მასალაზე მივუთითო, რომელიც გამოყენებულია ლიტერატურაში ამ პრობლემის გადასაჭრელად.

რადგან ვერ შევძელი, თავი მომეყარა გაფანტული და მრავალფეროვანი ლიტერატურისთვის, ამიტომ ვთხოვ მკითხველს, დასჯერდეს ჩემს მცდელობას და გაითვალისწინოს, რომ უყურადღებოდ არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი და თვალსაზრისი არ დამიტოვებია.

ავტორთა უმრავლესობა, უახლოეს წარსულამდე, ძილსა და სიზმარს ერთ კონტექსტში განიხილავდა და როგორც წესი, მას ფსიქოპათოლოგიურ და სიზმრის მსგავს ანალოგიურ მდგომარეობებსა და მოვლენებს (ჰალუცინაციებს, ხილვებსა და ა. შ.) უკავშირებდა. ამისგან განსხვავებით, უახლოეს კვლევებში თემის დაინტეროებისა და სიზმრის პრობლემიდან ცალკეული საკითხების გამოყოფისა და მისი შესწავლის ტენდენცია იკვეთება. ეს ცვლილებები იმ დარწმუნებულობის გამოხატულებად მიმაჩნია, რომლითაც ამ ბნელით მოცული საკითხებისთვის ნათლის მოფენა უამრავი დეტალური კვლევითაა შესაძლებელი. ამ წიგში სწორედ ფსიქოლოგიური ბუნების ამგვარ დეტალურ კვლევას გთავაზობთ. ძილის პრობლემის შესწავლას არ ვაპირებ, რადგან ეს წმინდა ფიზიოლოგიური საკითხია, თუმცა ძილის მდგომარეობის მახასიათებლები ფსიქიკური აპარატის ფუნქციონირების ცვლილებებსაც გულისხმობს. ამდენად, ძილის საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა არ გაითვალისწინებია.

სიზმრის ფენომენისადმი მეცნიერულ ინტერესს ნაწილობრივ ურთიერთდაკავშირებულ საკითხებამდე მივყავართ:

(a) სიზმრის დამოკიდებულება სიზნიზლესთან

ფხიზელი ადამიანი გულუბრყვილოდ მსჯელობს და მიაჩნია, რომ სიზმარს – თუნდაც ის სხვა სამყაროს პროდუქტი არ იყოს – ის იმ სამყაროში გადაჰყავს. ძველმა ფიზიოლოგმა ბურდახმა, რომელსაც სიზმრის ფენომენის საგულდაგულო და ღრმააზროვან აღწერას უნდა ვუმაღლოდეთ, ეს დარწმუნებულობა ცნობილი ფრაზით გამოხატა (1838, 499): „...არასოდეს მეორდება დღის ცხოვრება თავისი დაძაბულობითა და სიამოვნებით, სიხარულითა და ტკივილით; სიზმრის მიზანი უფრო ჩვენი ამ ყველაფრისგან გათავისუფლებაა. მაშინაც კი, როცა ერთი აზრით ვართ შეპყრობილი, როცა ძლიერი ტკივილი გულს გვიგლეჯს ან რამე ამოცანა მთელ ჩვენს გონებას იპყრობს, სიზმარი ან სრულიად უცხო რამეს გვაძლევს, ან კომბინაციის შესადგენად რეალობიდან ცალკეულ ელემენტებს იღებს, ან ჩვენი განწყობების ტონალობას უერთდება და რეალობას სიმბოლოებით გამოხატავს“.

იმავე აზრს გამოხატავს შტრიუმპელის კვლევა სიზმრების ბუნებისა და წარმოშობის შესახებ, რომელიც სრულიად სამართლიანად იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას (1887, 16): „ვინც სიზმარს ნახულობს, ის ფხიზელი ცნობიერების სამყაროს აქცევს ზურგს...“; (იქვე, 17): „სიზმრებში სრულებით იკარგება ფხიზელი ცნობიერებისა და მისი ნორმალური ფუნქციონირების მკაცრად სტრუქტურირებული შინაარსის მეხსიერება...“; (იქვე, 19): „სიზმარში სულის გამოცალკეება ფხიზელი ცნობიერების შინაარსისა და მისი დინამიკისგან...“

ავტორთა უმრავლესობა კი ფხიზელ ცხოვრებასთან სიზმრის დამოკიდებულების შესახებ სრულიად საპირისპირო მოსაზრებას გამოხატავს. აი, რას ვკითხულობთ ჰაფნერთან (1887, 245): „სიზმარი ფხიზელ ცხოვრებას აგრძელებს. ჩვენი სიზმრები ცოტა ხნით ადრე ცნობიერებაში არსებულ წარმოდგენებს უერთდება. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, ყოველთვის აღმოვაჩენთ იმ ძაფს, რომლითაც სიზმარი

მიმდინარე დღის შთაბეჭდილებებს უკავშირდება“. ვაიგანდტი (1893, 6) ეწინააღმდეგება ბურდახის ზემოთ ციტირებულ მოსაზრებას: „ხშირად სიზმრების უმრავლესობა ჩვეულებრივ ცხოვრებაში გვაბრუნებს, ნაცვლად იმისა, რომ მისგან გაგვათავისუფლოს“. მორი (1878, 51) თავის მოსაზრებას ლაკონიური ფორმულით ასე გამოხატავს: „გვესიზმრება ის, რაც ვნახეთ, ვთქვით, ვისურვეთ ან გავაკეთეთ“; 1855 წელს გამოცემულ „ფსიქოლოგიაში“ (გვ. 530) იესენი თავის მოსაზრებას უფრო დანვრილებით აღწერს: „სიზმრების შინაარსს, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის ინდივიდუალურობა, ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, განათლების ხარისხი, ჩვეული ცხოვრების წესი და მთელი განვლილი ცხოვრების გამოცდილება და მოვლენები განსაზღვრავს“.

ცხოვრებაზე სიზმრის შინაარსის დამოკიდებულების შესახებ არც ძველად ფიქრობდნენ განსხვავებულად. მომყავს ციტატა რადემტოკის დაკვირვებებიდან: როცა ქსერქსემ ბერძნების წინააღმდეგ ლაშქრობის წინ კეთილ რჩევებს ყური არ უგდო და სიზმრების შთაბეჭდილებების გავლენით მიიღო გადაწყვეტილება, სიზმრის ამხსნელმა, სალად მოაზროვნე მოხუცმა სპარსმა არტაბანოსმა უთხრა, სიზმრის სურათ-ხატები ხშირად იმას გადმოსცემს, რაზეც ადამიანი სიფხიზლეში ფიქრობსო.

ლუკრეციუსის პოემაში „საგანთა ბუნებისათვის“ (IV, 962) ვკითხულობთ:

Et quo quisque fere studio devinetus adhaeret,
aut quibus in rebus multum sumus ante morati
atque in ea ratione fuit contenta magis mens,
in somnis eadem plerumque videmur obire;
causidici causas agere et componere leges,
induperatores pugnare ac proelia obire,... etc. etc.¹

¹ „რაც ჩვენს გონებას მთელი ძალით იპყრობს, სიზმარშიც ის გვევლინება, / სამართალმცოდნე კანონებს ქმნის და პროცესებს მართავს, მხედართმთავარი ჯარს რაზმავს და სისხლისმღვრელი ბრძოლებისკენ მიუძღვის...“ და ა. შ.

ციცერონი (*De divinatione* II, lxvii, 140) თითქმის იმავეს წერს, რასაც გაცილებით გვიან მორი ამბობს: „Maximeque reliquiae earum rerum moventur in animis et agitantur, de quibus vigilantes aut cogitavimus aut egimus“².

ჩანს, რომ სიზმრისა და ფხიზელი ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ამ ორ მოსაზრებას შორის წინააღმდეგობა გადაუჭრელია. ამიტომ სრულიად დროულია, გავისხენოთ ჰილდებრანდტი, რომელსაც მიაჩნია, რომ სიზმრის თავისებურებები შეიძლება აღინეროს, როგორც „რამდენიმე (სამი) კონტრასტი, რომლებიც, შეიძლება, უკიდურესად გამძაფრდეს“. „პირველ ასეთ კონტრასტს ქმნის, ერთი მხრივ, სიზმრის მკაცრი გამოიწვნა ან ჩაკეტილობა ნამდვილი, რეალური ცხოვრებისგან და მეორე მხრივ, მუდმივად ერთის მეორეში შექრა, მუდმივად ერთის მეორეზე დამოკიდებულება. სიზმარი სიფხიზლეში განცდილი რეალობისგან სრულიად გამოყოფილია, შეიძლება ითქვას, რომ ის თავის თავში ჰერმეტიულად ჩაკეტილი ყოფიერებაა, რომელსაც რეალური ცხოვრებისგან გადაულახავი უფსკრული ყოფს. ის რეალური ცხოვრებისგან გვმიჯნავს, გვაკარგვინებს მასზე მოგონებებს, გადაყავართ სხვა სამყაროსა და გარემოებაში, რომელსაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო...“. ჰილდებრანდტი ასევე წერს, რომ ძილში მთელი ჩვენი ყოფიერება თითქოს „უხილავი კარის მიღმა“ უჩინარდება. სიზმარში, მაგალითად, ვინმე გემით წმიდა ელენეს კუნძულზე მიემგზავრება, რათა დატყვევებულ ნაპოლეონს ჩინებული მოზელის ღვინო შესთავაზოს. იმპერატორი გულითად შეხვედრას უწყობს და გული სწყდება, რომ გაეღვიძა და საინტერესო ილუზია გაქრა. მერე სიზმრის სიტუაციას რეალობას უდარებს. მეღვინე არასდროს ყოფილა და ეს არც არასდროს ნდომებია. ზღვაზე არასდროს უმოგზაურია და ასეც რომ ყოფილიყო, წმინდა ელენეს კუნძულზე მოგზაურობა მიზნად არასდროს დაუსახავს. ნაპოლეონისადმი სიმპათიები არასდროს ჰქონია,

² „განსაკუთრებით ის საგნები ტოვებს სულში კვალს, რომლებზეც სიფხიზლეში გვიფიქრია და გვიკეთებია“.

მისდამი უფრო მტრულ პატრიოტულ სიძულვილს განიცდის. თანაც, სიზმრის მნახველი მაშინ დაბადებულიც კი არ იყო, როცა ნაპოლეონი წმინდა ელენეს კუნძულზე მოკვდა; მასთან პირადი ურთიერთობის დამყარება შესაძლებლობის ზღვარს მიღმაა. ასე რომ, სიზმარი წარმოგვიდგება რაღაც გარეშე მოვლენად, რომელიც ერთმანეთის შესატყვის და ერთიმეორის გამაგრძელებელ ცხოვრების ორ პერიოდს შორის ჩნდება.

„და მაინც, – აგრძელებს ჰილდებრანდტი, – მოჩვენებითი კონტრასტულობა ნამდვილია. იმას ვგულისხმობ, რომ ამ ჩაკეტილობისა და გამიჯნულობის მიუხედავად, ძილსა და ღვიძილს შორის კავშირი ღრმა და ურყევია. შეგვიძლია, ვთქვათ: რაც უნდა შემოგვთავაზოს სიზმარმა, მასალას ის რეალობიდან და რეალობაში მიმდინარე სულიერი ცხოვრებიდან იღებს... როგორც უნდა მოექცეს ის ამას, რეალურ სამყაროს მაინც არასდროს სწყდება და მისი ყველაზე გამორჩეული და უცნაური ფორმები მასალას იქიდან იღებს, რაც რეალურ ცხოვრებაში ან უკვე ჩვენ თვალწინ მოხდა, ან ჩვენს ფიზიკურ ცნობიერებაში რაღაც ადგილი დაიკავა, მოკლედ, ჩვენ მიერ ფიზიკურად თუ სულიერად განცდილიდან“.

(ბ) სიზმრის მასალა – მესნიერება სიზმარში

უდავო ფაქტად, სულ მცირე, ის მაინც უნდა მივიჩნიოთ, რომ მასალა, რომლისგანაც სიზმარი შედგება, რაღაც ფორმით ჩვენ მიერ უკვე განცდილისგან წარმოდგება, რომლის რეკონსტრუქციასაც სიზმარი ახდენს, ანუ რომელსაც ის იხსენებს. მცდარი იქნებოდა ვარაუდი, რომ სიზმრის შინაარსსა და რეალობას შორის კავშირი, როგორც ხილული შედეგი, ზედაპირული დაკვირვებითაც

ცხადია. ეს კავშირი, რომელიც ბევრ შემთხვევაში დაფარულია, ყურადღებით უნდა იქნეს მოძიებული. მიზეზი კი ის თავისებურებებია, რომლებსაც მეხსიერება სიზმარში ავლენს და რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ყოველგვარ ახსნას მოკლებულია. ამიტომ იმსახურებს ეს პრობლემა, რომ მას სათანადო ყურადღება დავუთმოთ.

ხშირად გაღვიძების შემდეგ სიზმრის შინაარსში ისეთი მასალა ვლინდება, რომელშიც ცოდნასა და განცდილს ვერ ვცნობთ. გვახსოვს, რომ სიზმარი ვნახეთ, მაგრამ არ გვახსოვს, ასეთი რამ ოდესმე განგვიცდია თუ არა. ამიტომ აუხსნელია, რომელი წყაროდან საზრდოობს სიზმარი და სიზმრის ავტონომიურობის მანამდე გვეჯერა, სანამ ხშირად დიდი ხნის შემდეგ ახალი განცდილი დავიწყებულს არ გაგვახსენებს და ამდენად, სიზმრის წყაროსაც არ აღმოგვაჩენინებს. მოგვიწევს, ვალიაოთ, რომ სიზმარში ვიცით და ვიხსენებთ იმას, რაც ცხადში დავივიწყეთ.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაგალითი მოჰყავს დელბეფს თავისი სიზმრიდან. მას დაესიზმრა თოვლით დაფარული ეზო, სადაც თოვლში ჩამარხული, თითქმის გაყინული ორი პატარა ხვლიკი იპოვა. როგორც ცხოველების ჭეშმარიტმა მოყვარულმა, ისინი აიყვანა, გაათხო და კედლის ხვრელში დააბრუნა. თან ხვლიკებს ხვრელში კედელზე გაზრდილი გვიმრის რამდენიმე ფოთოლიც ჩაუდო, რადგან იცოდა, რომ მათ გვიმრა უყვარდათ. სიზმარში ისიც იცოდა, მცენარეს რა ერქვა: *Asplenium ruta muralis*. სიზმარი გაგრძელდა, რაღაც ჩანართის შემდეგ ისევ ხვლიკებთან დაბრუნდა და დელბეფს, თავისდა გასაკვირად, ორი პატარა ახალი ცხოველი ანახვა, რომლებიც ფოთლების ნარჩენებს ჭამდნენ. მერე დელბეფმა გაშლილი მინდვრისკენ გაიხედა და მეტბუთე, მერე კი მეექვსე ხვლიკი დაინახა, რომლებიც ხვრელისკენ მიდიოდნენ. ბოლოს მთელი გზა ხვლიკებით დაიფარა, გეზი მათაც იმავე მიმართულებით აეღოთ.

სინამდვილეში დელბეფმა მხოლოდ რამდენიმე მცენარის ლათინური სახელი იცოდა და მათ შორის *Asplenium*-ი ნამდვილად არ ყოფილა. თავისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ ამ დასახელების გვიმრა ნამდვილად არსებობდა. *Asplenium ruta muraria* – უბრალოდ,

სიზმარმა ეს სახელი ცოტათი დაამახინჯა. შემთხვევითობას ამას ვერ მივანეროთ და თავად დელბეფიც ვერ ხსნიდა, ეს სახელი საიდან მოიტანა.

მას ეს 1862 წელს დაესიზმრა. თექვსმეტი წლის შემდეგ მეგობრებთან სტუმრობისას დელბეფმა პატარა ჰერბარიუმი ნახა; ასეთებს შვეიცარიაში ყიდიან ტურისტებისთვის. დელბეფს მოგონება უბრუნდება, ჰერბარიუმს შლის, სიზმარში ნანახ *Asplenium*-ს ხედავს წარწერით და საკუთარ ხელწერას ცნობს; ასე რომ, კავშირი დამყარდა. მეგობრის და 1860 წელს საქორწინო მოგზაურობისას – ხვლიკებზე სიზმრამდე ორი წლით ადრე – დელბეფს ესტუმრა. ქალმა თან ძმისთვის ნაყიდი ჰერბარიუმი მოიტანა, დელბეფმა დიდი მონდომება გამოიჩინა და ყველა გამხმარ ყვავილს, ბოტანიკოსის კარნახით, ლათინური სახელწოდებები მიაწერა.

შემთხვევის წყალობით, რომელმაც ამ სიზმარს მაგალითის მნიშვნელობა შესძინა, დელბეფს შესაძლებლობა მიეცა, სიზმრის შინაარსის მეორე ნაწილის დავინწყებული სათავისთვის მიეგნო. ერთხელ, 1877 წელს, მას ილუსტრირებული ჟურნალი ჩაუვარდა ხელში, რომელშიც 1862 წელს სიზმარში ნანახი ხვლიკების მსვლელობის ფოტო გამოქვეყნებინათ. ჟურნალი 1861 წლით იყო დათარიღებული და დელბეფს გაახსენდა, რომ იმ დროს ეს ჟურნალი ჰქონდა გამონერილი.

სიზმარში მოგონებების არსებობა, რომლებიც ფხიზელი ცნობიერებისთვის მიუწვდომელია, იმდენად უცნაური და თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მინდა, ამისთვის სხვა „ჰიპერმენეზიულ“ სიზმრებშიც მივაქცევინოთ ყურადღება. მორი ჰყვება, რომ ერთხანს თავში სულ სიტყვა *მუსიდან* უტრიალებდა. ერთადერთი, რაც იცოდა, ის იყო, რომ ასე ერთ ფრანგულ ქალაქს ერქვა. ერთხელ დაესიზმრა, რომ ვილაძას ელაპარაკებოდა, რომელმაც უთხრა, მუსიდანთან ვარო. კითხვაზე, ქალაქი სად მდებარეობსო, უპასუხა, დორდონის დეპარტამენტშიო. როცა გაიღვიძა, მორი სიზმარში გაგებულ ინფორმაციას არ ენდო, გეოგრაფიულ ლექსიკონში შეამოწმა და მართლაც ასე აღმოჩნდა. ეს შემთხვევა

სიზმრის ყოვლისმცოდნეობას ადასტურებს, თუმცა ამ ცოდნის და-
წინააღმდეგე სათავეს ვერ აგებს.

იესენი (1855, 551) უფრო ძველი ეპოქების ანალოგიურ სიზ-
მრებს გვიყვება: „ამ სიზმართა შორის უფროსი სკალიგერის სიზ-
მარიცაა (ჰენინგსი, 1784, 300), რომელმაც ვერონის ცნობილ ადა-
მიანებს ოდა მიუძღვნა და რომელსაც სიზმარში კაცი გამოეცხადა.
ის თავს ბრუნოლუსს უწოდებდა და სკალიგერს საყვედურობდა,
რატომ დაგავინწყდით. სკალიგერს მასზე არაფერი სმენოდა, მაგ-
რამ ოდა მაინც მიუძღვნა. მოგვიანებით მისმა ვაჟმა შეიტყო, რომ
ოდესლაც ვერონაში კრიტიკოს ბრუნოლუსს მართლაც გაეთქვა
სახელი“.

თავის ერთ-ერთ ნაშრომში („Proceedings of the Society for
Psychical Research“), რომელზეც, სამწუხაროდ, ხელი არ მიმინვდე-
ბა, მაიერსი ჰიპერმნეზიული სიზმრების მთელ კოლექციას წარ-
მოგვიდგენს. ვფიქრობ, ვინც სიზმრის პრობლემას იკვლევს, უნდა
აღიაროს ის ფაქტი, რომ სიზმარი იმ ცოდნასა და მოგონებებს
ფლობს, რომლებიც ფხიზელი ცნობიერებისთვის უცხოა. ნევრო-
ზით შეპყრობილ ადამიანებთან ყოველდღიური ფსიქონალიტიკუ-
რი მუშაობის პროცესში, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, მეძლე-
ვა საშუალება, პაციენტებს თავიანთ სიზმრებზე დაყრდნობით და-
ვუმტკიცო, რომ ციტატები, უცნებური სიტყვები და ა. შ. მათთვის
კარგად ნაცნობია და ისინი სიზმარში მათით სარგებლობენ, თუმცა
სიფხილღეში არ ახსოვთ. ერთ უწყინარ შემთხვევას გაგაცნობთ,
რადგან სიზმარში გამოვლენილი ცოდნის წყაროს ადვილად მივა-
გენი. პაციენტს დაესიზმრა, რომ პატარა კაფეში „კონტუჟოვკა“
მოითხოვა და მითხრა, ამ სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცი, არას-
დროს გამიგიაო. ვუპასუხე, რომ „კონტუჟოვკა“ პოლონური არაყი
იყო, რომელსაც ის სიზმარში ვერ გამოიგონებდა, რადგან ამ სიტ-
ყვის არსებობა ჩემთვის პლაკატებიდან უკვე დიდი ხანია ცნობილი
იყო. თავიდან პაციენტი არ მიჯერებდა. რამდენიმე დღის შემდეგ
კი, ქუჩის იმ კუთხეში, სადაც თვეების განმავლობაში დღეში ორ-
ჯერ მაინც უწევდა გავლა, პლაკატზე ეს სიტყვა შეამჩნია.

ერთ-ერთი წყარო, საიდანაც სიზმარი მასალას იღებს რეპროდუქციისთვის, რომელსაც ცხადში ნაწილობრივ ვერც იხსენებენ და ვერც მოიხმარენ, ბავშვობის განცდებია. მხოლოდ რამდენიმე ავტორს დავასახელებ, რომლებმაც ეს შეამჩნიეს და აღნიშნეს.

ჰილდებრანდტი (1875, 23): „უკვე მკაფიოდ ითქვა, რომ ზოგჯერ სიზმარი რეპროდუქციის განსაცვიფრებელი ძალით აღადგენს შორეული წარსულის მოვლენებს და დავინყებულ ფაქტებსაც კი“.

შტრიუმპელი (1877, 40): „კიდევ უფრო უცნაურია, როცა ამჩნევ, რომ სიზმარს გარიყული, გვიანდელი დროის ზვავქვეშ მოყოლილი ადრეული ახალგაზრდობის განცდებიდან ცალკეული ადგილების, საგნებისა და პიროვნებების სურათ-ხატები ზედაპირზე დაუზიანებლად ამოაქვს, რომლებსაც თავდაპირველი ცინცხალი ძალა არ დაუკარგავთ. ეს მხოლოდ იმ შთაბეჭდილებებით არ შემოისაზღვრება, რომლებიც წარმოქმნისას აქტიურ ცნობიერებას იძენს ან ძლიერ ფსიქიკურ ღირებულებებს უკავშირდება და მოგვიანებით სიზმარში მოგონებების სახით ბრუნდება, ასე რომ ახარებს გამოლვიძებულ ცნობიერებას. სიზმრის მეხსიერების სიღრმე უფრო იმ ადრეული პერიოდის პერსონების, საგნებისა და ადგილების სურათ-ხატებს მოიცავს, რომლებიც ან ნაკლებ მნიშვნელობას იძენდა ცნობიერებისთვის, ან ფსიქიკური ღირებულება არ გააჩნდა, ან ერთიც და მეორეც დიდი ხანია დაკარგა და, ამდენად, სიზმარშიც და გამოლვიძების შემდეგაც სრულიად უცხოდ და უცხოზად ეჩვენება, სანამ წარმოშობის სათავეს არ მიაგნებს“.

ფოლკელტი (1875, 119): „განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხშირად სიზმარში ბავშვობისა და ახალგაზრდობის მოგონებები ცოცხლდება. ისინი, რაზეც დიდი ხანია აღარ გვიფიქრია და ისინი, რასაც ჩვენთვის უკვე დიდი ხანია, მნიშვნელობა დაკარგული აქვს: სიზმარი მუდამ გვახსენებს მათ არსებობას“.

ბავშვობის მასალაზე სიზმრის ბატონობა, რომელიც, დიდწილად, ცნობიერი მოგონებების ხარვეზებს ავსებს, საინტერესო ჰიპერმენეზიული სიზმრების წარმოშობის მიზეზია. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

მორი ჰყვება (1878, 92), რომ ბავშვობაში მშობლიური ქალაქიდან ხშირად მიდიოდნენ მეზობელ ტრილპორში, სადაც მამამისი ხიდის მშენებლობას ხელმძღვანელობდა. ერთ ღამეს დაესიზმრა, რომ ტრილპორის ქუჩებში თამაშობდა და ფორმისმაგვარ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი მიუახლოვდა. მორიმ ვინაობა ჰკითხა. კაცი გაეცნო, კ. ვარ და ხიდის დარაჯად ვმუშაობო. რომ გაიღვიძა, მოხუც მსახურ ქალს, რომელიც მათთან მორის ბავშვობიდან ცხოვრობდა, ჰკითხა, ესა და ეს გვარის კაცი თუ გახსენდებაო. „რა თქმა უნდა, – მიიღო პასუხად, – იმ ხიდის დარაჯი იყო, რომლის მშენებლობასაც მაშინ მამათქვენი ხელმძღვანელობდა“.

სიზმარში ნანახი ბავშვობის მოგონებების ნამდვილობას მორის მიერ მოყოლილი (იქვე, 143-4) ვინმე ფ.-ს სიზმარიც ადასტურებს, რომელმაც ბავშვობა მონბრიზონში გაატარა. მან გადანყვიტა, ოცდახუთი წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქს და ოჯახის ძველ მეგობრებს სტუმრებოდა. მგზავრობის წინ დაესიზმრა, რომ მონბრიზონის ახლოს უცნობ კაცს შეხვდა, რომელმაც უთხრა, მამაშენის მეგობარი ტ. ვარო. ფ.-მ იცოდა, რომ ამ კაცს ბავშვობაში მართლაც იცნობდა, მაგრამ გაღვიძებულმა მისი გარეგნობა ვერ გაიხსენა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მონბრიზონში ჩავიდა, სიზმარში ნანახი ის ადგილი მოძებნა და შემთხვევით შეხვდა კაცს, რომელშიც მაშინვე ამოიცნო ტ. რეალური ტ. ბევრად ხანდაზმულად გამოიყურებოდა, ვიდრე მისი სახე-ხატი სიზმარმა უჩვენა.

შემიძლია, საკუთარი სიზმარის მაგალითზე გაჩვენოთ, როგორ ჩანანცვლა სიზმარში გაცოცხლებული შთაბეჭდილება რაღაც კავშირმა. დამესიზმრა კაცი; სიზმარშივე ვიცოდი, რომ ჩემს მშობლიურ ქალაქში ექიმი იყო. სახე კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ ის ჩემი გიმნაზიის ერთ-ერთ მასწავლებელზე წარმოდგენებით შევაფასე, რომელიც ზოგჯერ დღესაც მხვდება ხოლმე. რა კავშირი შეიძლებაოდა მათ შორის ყოფილიყო, ვერ ამეხსნა. დედაჩემს ამ კაცზე – ბავშვობაში ჩემს პირველ ექიმზე – ვკითხე, შევიტყვე, რომ კაცი ცალთვალა ყოფილა ისევე, როგორც გიმნაზიის მასწავლებელი, რომლის პერსონაც სიზმარში ექიმისამ გადაფარა. ექიმი, ოცდათ-

ვრამეტი წელი იყო, არ მენახა და რამდენადაც მახსოვს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ გამხსენებია...

როცა არაერთი ავტორი ამტკიცებს, რომ სიზმარში, უმთავრესად, უახლოესი დღეების ელემენტები გვხვდება, ეს ისე ჟღერს, თითქოს სიზმარში ბავშვობის შთაბეჭდილებების გადამმეტებული როლის საპირწონე იქმნება. რობერტი ნერს (1886, 46): „ჩვეულებრივი სიზმარი, საზოგადოდ, მხოლოდ ბოლო დღეების შთაბეჭდილებებს მოიცავს“. სიზმრის შესახებ რობერტის თეორია კატეგორიულად მოითხოვს ძველი შთაბეჭდილებების განდევნას და ახლის წინ წამოწევას. ის, რასაც რობერტი ამტკიცებს, როგორც საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე მეჩვენება, სამართლიანია. ამერიკელი ავტორი ნელსონი თვლის (1888, 380), რომ ყველაზე ხშირად სიზმარი ბოლო ორი-სამი დღის შთაბეჭდილებებს გადაამუშავებს, თითქოს უშუალოდ სიზმრის წინა დღის შთაბეჭდილებები საკმარისად განვლებული – ან დაშორებული – არ იყოს.

სიზმრის შინაარსსა და ფხიზელ ცნობიერებას შორის ღრმა კავშირის არსებობა ბევრი ავტორისთვის უდავოა და მათთვის ისიც ცხადია, რომ შთაბეჭდილებები, რომლებიც ფხიზელ ცნობიერებას მოიცავს, სიზმარში მაშინ გვევლინება, როცა აზროვნება მათ, გარკვეულწილად, უკანა პლანზე გადასწევს. სანამ ჩვენთვის ძვირფასი ადამიანი ახალი გარდაცვლილია და ჩვენი მწუხარებაც დიდია, როგორც წესი, მას სიზმარში არ ვნახულობთ (დელაჟი, 1891 [40]). ერთ-ერთმა ბოლო დამკვირვებელმა, მის ჰალამმა კი სრულიად საპირისპირო ხასიათის მაგალითები წარმოგვიდგინა და ამ საკითხში ის ფსიქოლოგიური ინდივიდუალურობის თვალსაზრისს იზიარებს (ჰალამი და უიდი, 1896 [410-11]).

სიზმრის მეხსიერების მესამე, უცნაური და აუხსნელი, თავისებურება აღსადგენი მასალის შერჩევაში ვლინდება. ფხიზელი ცნობიერებისგან განსხვავებით, სიზმარი რაღაც მნიშვნელოვნით კი არ სარგებლობს, არამედ გაცილებით უმნიშვნელოსა და შეუმჩნეველს ანიჭებს ღირებულებას. ამასთან დაკავშირებით გაგაცნობთ იმ ავტორების მოსაზრებებს, რომლებიც ამ ფაქტით გაკვირვებას ვერ მალავენ.